

ეკონომიკური პოლიტიკის ბარე ფასადები და ხელიდან გაშვებული შანსები*

ვლადიმერ პაპავა

ჟურნალი “სიტყა”, № 1, 2007

აქვს თუ არა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა? ეს შეკითხვა რიტორიკულთა კატეგორიას არ მიეკუთვნება, თუმცა დოკუმენტი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ რთულად მოსაპოვებელია. არსებობს მთავრობის ე. წ. პროგრამა, რომელშიც თეზისურად, სამ-ოთხ გვერდზე, არის ჩამოყალიბებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამომავლო გეგმები. ამ დოკუმენტით მთავრობა ტრადიციულად წარდგება ხოლმე პარლამენტში, როდესაც მას სჭირდება კონსტიტუციით გათვალისწინებული ნდობის მოპოვება. ფორმალურად მთავრობა შეიძლება გავამართლოთ, რადგან მას აქვს ეს დოკუმენტი, თუნდაც თეზისებისა და კეთილი სურვილების ფორმით. სხვა საქმეა, რომ იგი სინამდვილეში უზოგადესი ღოზუნგებით არის სავსე.

2004 წლის დასაწყისში, როდესაც კონსტიტუციაში შედიოდა ცვლილებები მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით, დაუშვეს შეცდომა. ცვლილებების თანახმად, კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში (ორ კვირაში) პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი, პრემიერმინისტრი, მან კი საზოგადოებას თავისი გუნდის შემადგენლობა უნდა აცნობოს. დროის ამ მცირე მონაკვეთში სრულფასოვანი პროგრამის დაწერა შეუძლებელია. ასე რომ, ეკონომიკური პროგრამის უქონლობის გამო ხელისუფლების გაკრიტიკებისას ობიექტური საფუძველიც უნდა დავინახოთ. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს ორ კვირაში ვერ შექმნი. მთავრობას პრაქტიკულად არ აქვს ოფიციალურად გაცხადებული პოლიტიკა,

* წერილი მომზადებულ იქნა ჟურნალ “სიტყვის” რედაქციის მიერ ვლადიმერ პაპავასაგან აღებული ინტერვიუს საფუძველზე.

მაგრამ საქართველოს მიერ ეკონომიკაში გადადგმული ნაბიჯების მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რა ტიპის პოლიტიკას ატარებს მთავრობა.

მართებულად ჩნდება კითხვა: შეუძლია თუ არა მთავრობას ამ დოკუმენტის განახლება ან ახლის მიღება? “განახლება“ ხდება ყოველთვის, როდესაც მთავრობას სჭირდება კონსტიტუციურად ნდობის მიღება. დოკუმენტი “განახლებას“ ექვემდებარება, მაგრამ პრობლემა სხვაგან არის საძიებელი – არ შეიძლება, ეს დოკუმენტი სერიოზულად განიხილოს ვინმემ, რადგან სამ გვერდზე ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ ჩამოაყალიბებ. რამდენიმე ფურცელზე მხოლოდ მოწოდებებისა და ღოზუნგების ჩამოწერა შეიძლება.

თუმცა, როგორც ვთქვით, მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბარი შეიძლება იმის მიხედვით, რას აკეთებს ის ამ მიმართულებით. დავიწყოთ პრივატიზაციით. იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა, როგორც ბენდუქიძემ განაცხადა. ობიექტები სახელმწიფო მმართველობიდან კერძო საკუთრებაში რომ უნდა გადავიდეს, სწორია, რადგან საბაზრო ეკონომიკა ამ პროცესის გარეშე არ არსებობს. ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს რაც შეიძლება ნაკლები ფუნქცია უნდა ჰქონდეს. პრივატიზაციასთან დაკავშირებული შეცდომა კი ის არის, რომ სათანადოდ არ არის გააზრებული, რა იყიდება, გაყიდვის პროცესი გაუმჭვირვალეა და ხშირად ეჭვს აღძრავს ისიც, ვინ არის მყიდველი.

კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს შევეხები პრივატიზაციასთან დაკავშირებით – ეს არის საქართველოს ბუნებრივი რესურსების პრივატიზაცია. ეკონომიკურ თეორიას არაფერი აქვს ბუნებრივი რესურსების გასხვისების საწინააღმდეგო. ტყის გაყიდვა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იგი პროფილს არ შეიცვლის. საქართველოს პირობებში წყალიც და ტყეც უნდა განვიხილოთ, როგორც სტრატეგიული ობიექტები. მაგრამ ეკონომიკური თეორიისთვის მნიშვნელობა არ აქვს ობიექტის სტრატეგიულობას. სტრატეგიულობის ცნება შემოდის არა ეკონომიკიდან, არამედ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან. ქვეყანამ, რომელსაც სერიოზული პრობლემა აქვს მეზობელ სახელმწიფოსთან, ასეთ პირობებში თავი უნდა შეიკავოს მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტების – რკინიგზის, პორტების –

გაყიდვისგან, დიდი სიფრთხილითაა ჩასატარებელი მიწის, წყლისა და ტყის პრივატიზაცია.

ვინ უნდა დაიცვას პრივატიზაციის პროცესი შეცდომებისგან? ვინ უნდა უზრუნველყოს გაყიდვის პროცესის გამჭვირვალობა და არ დატოვოს იოტისოდენა საფუძველი ეჭვებისთვის? ალბათ, პასუხი ამგვარი იქნება: ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ. მაგრამ ქვეყანას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო რეალურად არ გააჩნია; არსებობს მხოლოდ ამ სახელის მატარებელი ორგანო, რომლის ფუნქციაა, გაყიდოს და ხანდახან ხალხს ჩამოართვას ქონება. ძნელია, ასეთი ფუნქციების მქონე ინსტიტუტს სამინისტრო უწოდო.

2004 წელს დაწყებული პრივატიზაციის პროცესი ცოტა გაუგებარი იყო, რადგან იგი საქართველოში მოქმედი ვერც ერთი კანონით ვერ რეგულირდებოდა. კანცელარიის კაბინეტებში სხვადასხვა ინვესტორი ჰყავდათ გამომწვევდელი, ხან ერთს დაკითხავდნენ, ხან – მეორეს, და გამთენიისას გამოავლენდნენ გამარჯვებულს. პრივატიზაცია კანონდარღვევით მიმდინარეობდა. თავდაპირველი პრივატიზაციისას ინვესტორთა დიდი ნაწილი რუსები იყვნენ. რუსული კაპიტალით დაფუძნებული ფირმები ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ახალ ზელანდიაში და სხვაგან არიან რეგისტრირებული. მთავარი ის არის, რომ რუსეთის ბიზნესინტერესებთან დამაკავშირებელი ხიდი მთავრობაში კახა ბენდუქიძის პერსონით არის წარმოდგენილი. მაშინაც კი, როდესაც გაახმაურეს, რომ პრივატიზაციით დიდი თანხა უნდა შემოსულიყო, ხანდახან გაუგებარი რაღაცებიც ხდებოდა. მაგალითად, ხელშეკრულების გაფორმებისას აღმოჩნდა, რომ “ენერგო პრომ“, რომელმაც ენერგეტიკულ ობიექტებზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა, 315 მილიონი აშშ დოლარის ნაცვლად, 75 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. გაუგებარია თავად “ენერგო პროს“ წარმომავლობაც. ფირმას, რომელმაც განაცხადა, რომ 315 მილიონს გადაიხდიდა, საკუთარი ვებგვერდიც კი არ გააჩნდა ინტერნეტში.

იყიდებოდა სახელმწიფო ქონება, რომელსაც პრივატიზაციის ნიღაბი ააფარეს. მაგალითად, “თბილგაზი“ იყიდა “ყაზმუნაიგაზმა“, რომელიც ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიაა. ანუ საქართველომ სახელმწიფო კომპანია მიჰყიდა ყაზახეთის სახელმწიფოს. ეს კი პრივატიზაცია არ არის – უბრალოდ, მესაკუთრე გახდა სხვა სახელმწიფო. ერთი სიტყვით, პრივატიზაცია

მიმდინარეობდა გაუმჭვირვალედ და საქართველოში შემოვიდა დიდი ოდენობით რუსული და ყაზახური კაპიტალი.

ძალიან ხშირად, ტენდერების ორგანიზებისას თუ შედეგების შეჯამებისას, ორ პირობას დებენ ერთმანეთის საპირწონედ: რა უფრო მნიშვნელოვანია – კომპანიის გამოცდილება, სახელი, იმიჯი თუ თანხა, რომელსაც იგი გადაიხდის? ამ კითხვის პასუხად კახა ბენდუქიძე და მისი გუნდი აცხადებდნენ, რომ მთავარია, ვინ მეტ თანხას გადაიხდის. მაგრამ ტენდერების პრაქტიკა სხვა გარემოებებზე სვამს აქცენტს. თუ “ენერჯო პროს“ მაგალითით ვიმსჯელებთ, მან 315 მილიონი ამერიკული დოლარის ნაცვლად, 75 მილიონი დოლარი გადაიხადა. ე. ი. საჯაროდ გაცხადებულ ფულს დიდი მნიშვნელობა ყოველთვის როდი ჰქონია. ხშირად იმარჯვებს ისეთი კომპანია, რომელიც ტენდერამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოყალიბდა. გაუგებარია, ვინ დგას ამ ფორმის უკან, რა ანგარიშები აქვს, მაგრამ იგი გამარჯვებულია. პრივატიზაციის საჯაროდ გახმაურებული მიზანი ასეთია: რაც შეიძლება მეტი ფული ბიუჯეტის სასარგებლოდ. რეალურად კი გასხვისება “ჩაწყობით“ და ნაცნობობით ხდება, ანუ მთავრობა ცდილობს, ესა თუ ის საპრივატიზაციო ობიექტი მეგობრებს გადასცეს.

ინსტიტუციური რეფორმა

რეგულაციის შემდეგ დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა და ამას რეფორმა დაერქვა. ძალიან ბევრი ორგანიზაცია გაუქმდა კორუფციასთან ბრძოლის საბაბით. დღეს აღმოჩნდა, რომ შეცდომა დაუშვეს. ერთ-ერთი “შეცდომით გაუქმებული“ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურია. კონკურენცია ყოველთვის წარმოშობს მონოპოლიას, მონოპოლიების საქმიანობას კი სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება სჭირდება. ამ ელემენტარულ თეზისს სწავლობენ ბაკალავრიატის პირველკურსელი ეკონომისტები. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების საბაბი ასეთი გახლდათ: საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა, ენერგეტიკასა და კავშირგაბმულობას არეგულირებს სპეციალური კომისია და კიდევ ერთი მარეგულირებელი საჭირო აღარ არისო. სამაგიეროდ, შექმნეს ხუთკაციანი ჯგუფი, რომელმაც უნდა შეისწავლოს, რამდენად ერევა

სახელმწიფო კონკურენციაში. მაგრამ ხუთკაციანი ჯგუფი ვერაფერს შეისწავლის იმ კანონზე დაყრდნობით, რომელიც ბენდუქიძემ შექმნა და რომლითაც ხელ-ფეხი გაუსხნა მონოპოლიურ საქმიანობას. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ მონოპოლიები შეიქმნა. მან რატომღაც დავალება მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ემოქმედა, რაც მცდარი ნაბიჯია. რატომ არ დააყენა პრეზიდენტმა კახა ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხი იმის გამო, რომ მან დიდი პომპეზურობით გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური დაახლოებით სამი წლის წინ?

ხსენებული ხუთკაციანი ჯგუფი ვერაფერს გააკეთებდა. მას კანონიც არ აძლევდა უფლებას, კონკურენციის პროცესებში ჩარეულიყო და ყოფილიყო სრულყოფილად ინფორმირებული. ბენდუქიძემ ფარსი გაათამაშა: გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური და შექმნა გარკვეული შირმა, თითქოს რაღაც კეთდება. დღეს მას პასუხს არავინ სთხოვს. მკვეთრად დგას სურსათის უვნებლობის პრობლემაც. დღეს არ ვართ დაცული ქვეყანაში მავნე პროდუქტების შემოტანისგან. პროდუქციის კონტროლის სამსახურიც გაუქმდა. შეუძლებელია, ეკონომიკას წარმართავდე ქვეყანაში და არ იცოდე, რა ხდება ამ სფეროში. ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ინფორმაციას სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უნდა გვაწვდიდეს. რეკლუციის შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკის განვითარების სამინისტროს შეუერთეს. ეს ინტერესთა კონფლიქტს ნიშნავს. მთავრობა უნდა მუშაობდეს, ატარებდეს ეკონომიკურ პოლიტიკას, სტატისტიკა კი მთავრობის მუშაობის შედეგს სწავლობდეს და აქვეყნებდეს. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ მთავრობას აქვს ცდუნება, გამოაქვეყნოს თავისთვის მისაღები ინფორმაცია. სწორედ ამის შედეგია ზღაპრული ციფრები ეკონომიკური ზრდისა და დაბალი ინფლაციის შესახებ. ეს მონაცემები არანაირად არ შეესაბამება რეალობას. სახელმწიფო ინსტიტუტების გაუქმება პრაქტიკულად ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოს. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას ისიც, რომ მთავრობას ჰქონდა ქართული სახელმწიფოს ნგრევის წარუმატებელი მცდელობებიც. 2006 წლის გაზაფხულზე კახა ბენდუქიძემ დააპირა ეროვნული ბანკის შერყევა. მას სურდა, ეროვნული ბანკისთვის წაერთმია კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის ფუნქცია, რაც ვერ

მოახერხა, რადგან პარლამენტში ხელი შეუშალა ირაკლი კოვზანაძემ. თუმცა ეროვნული ბანკის ნგრევის თემა დღის წესრიგიდან დღემდე არ მოხსნილა.

საკადრო პოლიტიკა

თურმე არ გვჭირდება გამოცდილი ადამიანები, ანუ პროფესიონალიზმი თურმე გამოცდილებისა და მასზე დამყარებული კომპეტენციის გარეშე მიიღწევა. უნარ-ჩვევების სტერეოტიპი – მთავარია, იცოდეთ ინგლისური და კომპიუტერი – განვითარდა და ამგვარი ფორმულირებით ჩამოყალიბდა: მთავარია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (“ჯიპა“) გქონდეს დამთავრებული. იქ ამზადებენ სახელმწიფო მოხელეებს, რომელთაც უკვე რაღაც საბაზო განათლება აქვთ. ექიმს რომ სახელმწიფო მოხელედ მოამზადებ, რატომ გამოგადგება ეკონომიკაში, ცოტა არ იყოს, გაურკვეველია. ალბათ, სჯობს, ასეთი კადრი ჯანდაცვის სამინისტროში გაუშვა. მთავრობაში მოხდა ინსტიტუციური მესხიერების მსხვერვა. 40-50 წლის ადამიანები სამსახურებიდან გაათავისუფლეს. მიიჩნიეს, რომ ისინი მოხუცები არიან, თუმცა საპენსიო ასაკი საქართველოში 65 წლიდან იწყება. მათი ადგილი ახალგაზრდებმა დაიკავეს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი კომპეტენტურ კადრებად ჩამოყალიბდნენ. როცა ეკონომიკურ სამსახურებში ისევ და ისევ ექიმები ჰყავთ, ასეთ სამსახურებზე სერიოზულად საუბარი შეუძლებელია.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა

ქვეყანაში ხორციელდება ინფლაციის სტიმულირება. მთავრობა იღებს ისეთ ხარჯებს, რომლებიც ხელს უწყობს ინფლაციას. ინფლაციის რეალური დონე რომ დამალონ, სტატისტიკის დეპარტამენტს იყენებენ. იგი ისეთ ინფორმაციას აქვეყნებს, როგორსაც მთავრობა დაავალებს. მთავრობას არ აქვს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გააზრებული პოლიტიკა.

დასაქმების პოლიტიკა

სახელმწიფოს აქვს მოქალაქეთა დასაქმების სურვილი, თუმცა ამ მიმართულებით რაიმე გარკვეული პოლიტიკის არსებობის შესახებ საუბარი გაჭირდება. 2006 წლის შემოდგომაზე სტუდენტები ქალაქის დასუფთავებით დაასაქმეს და ფული გადაუხადეს. არჩევნები ახლოვდებოდა და ხელისუფლებას ახალგაზრდების ხმები სჭირდებოდა. ამ აქციის შედეგად ქალაქს ბევრი არაფერი დასტყობია და არც არავინ დასაქმებულა. ეს არ იყო დასაქმება, ამისთვის გაღებული ფული გადაყრილი აღმოჩნდა, რამაც ინფლაციას შეუწყო ხელი. 2006 წელს დასაქმების პროგრამის განხორციელებისას უმუშევრებს შესთავაზეს ცნობის მიტანა რომელიმე ფირმიდან, რომელშიც იგი ვითომდა სამი თვით დაასაქმეს. ამ ცნობის საფუძველზე “დასაქმებული“ სამი თვის განმავლობაში 150 ლარს იღებდა თვეში. ასეთი დაახლოებით 50 ათასი კაცი აღმოჩნდა. ანუ სამი თვის განმავლობაში დაახლოებით 22 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ამჟამად სახელმწიფო კვლავ იმეორებს ე. წ. დასაქმების პროგრამას, თანაც აცხადებს, რომ “დასაქმდება“ 100 ათასი ადამიანი. ესეც არ არის რეალური დასაქმება და ვერ ხსნის პრობლემას. ამგვარად, სახელმწიფოს არ გააჩნია დასაქმების პოლიტიკა და მის მიერ არჩეული გზა მცდარია.

საპენსიო და სახელფასო პოლიტიკა

გაზისა და ელექტროენერჯის საფასურად საქართველოში ვაუჩერებს არიგებენ, სოფლებში - ფქვილსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სახელფასო და საპენსიო პოლიტიკა. ერთადერთი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება დადებითად შეფასდეს, ბიზნესის დაწყების პროცედურის გამარტივებაა. ეს მთავრობის გააზრებული პოლიტიკის წარმატებული შედეგია.

საგადასახადო პოლიტიკა

ზურაბ ჟვანიას პრემიერმინისტრობის დროს სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა საგადასახადო წნეხის შემცირების მიზნით. მისი გარდაცვალების შემდეგ კი სიტუაცია შეიცვალა. მაგალითად, 2008 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტი იქნება, ანუ მთელი საგადასახადო ტვირთი დაქირავებულზე გადადის. დაქირავებულის შემოსავლის ყოველი 100 ლარიდან (პირობითად) 25 პროცენტს ბიუჯეტი წაიღებს. “საგადასახადო ლიბერალიზაციამდე“ კი 12 პროცენტი მიჰქონდა. დაქირავებელი 20 პროცენტს იხდიდა. ახლა იგი ამ ვალდებულებისგან გათავისუფლდა და მისი ნებაა, დაქირავებულს ხელფასს გაუზრდის თუ თავად მოიხმარს ამ თანხას.

კერძო საკუთრების ინსტიტუტი

მთავრობის დამოკიდებულება კერძო საკუთრების მიმართ აღმაშფოთებელია. ეკონომიკის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს სიტუაცია, როცა მესაკუთრის უფლება (საკუთრების უფლება) არ არის დაცული. კერძო საკუთრების ხელყოფა და მისი ძალადობრივი გადანაწილება დასაგმობია. არ ვიცი, რისი ბრალია ეს - პოლიტიკის უქონლობის თუ, პირიქით, დამანგრეველი პოლიტიკის?

ზამთარი, რუსეთი, გაზი...

რუსეთი არ არის ჩვენი “მეგობარი“, ამიტომ მოსალოდნელია რუსული გაზის გაძვირება. ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი ამ პროცესისა შესაძლოა იყოს ის, რომ ჩვენ სატრანზიტო ქვეყანა ვართ რუსეთსა და სომხეთს შორის. მას შემდეგ, რაც რუსეთიდან ქართველები გამოდევნეს, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი გაზის გაძვირება. არ არის გამორიცხული, რომ აზერბაიჯანმაც გაზარდოს ტარიფი. აირზე ფასის ზრდა მსოფლიო ბაზრის გავლენით არის გამოწვეული. საქართველოს გაზი არ აქვს და იძულებულია, იყიდოს. ამასთან, მსოფლიო ბაზარზე ნავთობიც ძვირდება. ეს

ისეთი პრობლემებია, რომლებიც საქართველოს ცხოვრებაზე აისახება, მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკა აქვს შემუშავებული მთავრობას ამ მიმართულებით.

საინვესტიციო პერსპექტივა 7 ნოემბრის შემდეგ

საქართველოს ეკონომიკით რეალურად ინტერესდებიან დასავლელი ინვესტორები. ასეთი პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას ვარდების რევოლუციამ შეუქმნა. თუმცა ქვეყნის ასეთი იმიჯი მიმდინარე წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ კითხვის ქვეშ დადგა. როგორც უნდა მოგვწონდეს ესა თუ ის მინისტრი, უნდა ვთქვათ, რომ ბიზნესის დაწევის რეგისტრაცია გამარტივდა, ელექტრონერგია და გაზი გვაქვს და ბიუჯეტი იზრდება. თუმცა ბევრად უკეთესი იქნებოდა, მთავრობას ჰქონდეს პროფესიულად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკა. ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საქართველო, უბრალოდ, სძულთ.

რატომ არ განახორციელა პრემიერმინისტრმა ცვლილებები ეკონომიკურ გუნდში

როგორც პარლამენტის რიგითმა დეპუტატმა, სესიაზე ლადო გურგენიძეს ვკითხე: “საქართველოს ბანკის წარმატების რეცეპტი გუნდური პრინციპია. თქვენ, როგორც ახალი პრემიერმინისტრი, თავს უხერხულად ხომ არ გრძნობთ მთავრობის ძველ გუნდთან მუშაობისას? საკუთარი კადრების მოყვანა ხომ არ სცადეთ და უარი ხომ არ მიიღეთ?” მან მიპასუხა, რომ მოსწონს მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წევრები და მათ საკუთარ გუნდად მიიჩნევს. მაშასადამე, გურგენიძის მოსვლით მხოლოდ მთავრობის “გარე ფასადი” შეიცვალა და არა შინაარსი, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება, თუმცა სიტუაცია უფრო დამძიმდება. წინასწარჩვენო პერიოდში ხელისუფლება უკვე დგამს ნაბიჯებს, რათა გაზარდოს თავისი პოპულარობა მოსახლეობაში (ამომრჩეველში), გაჭირვებულ ხალხს გაუზარდოს პენსიები და ხელფასები, დაურიგოს ვაუჩერები, ფქვილი. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ინფლაციის ზრდას. ბატონი ლადო გაცილებით სანდომიანი და

კომუნიკაბელურია, ვიდრე მისი წინამორბედი. იგი ქართული პოლიტიკისთვის ახალი სახეა, თუმცა, ვიმეორებ, მისი მოსვლით საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში შინაარსობრივად არაფერი შეიცვლება.

ბატონმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ, თუ ხალხი მას ნდობას გამოუცხადებს, გურგენიძის გუნდი უცვლელი დარჩება. პრემიერს ჰქონდა იდეალური შანსი, მთავრობისთვის ჩამოეცილებინა ისეთი არაპოპულარული სახე, როგორც კახა ბენდუქიძეა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. თუმცა ამასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე მიპასუხა, რომ პრობლემას ვერ ხედავს მინისტრთა კაბინეტის განახლებაში არჩევნების შემდეგ. მაგრამ ექნება კი მას ამის შესაძლებლობა, როცა ყველაზე დიდი შანსი უკვე გაუშვა ხელიდან? ან ისევ მოისურვებს მთავრობის შეცვლას?

საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით პრემიერმინისტრს ვურჩიეთ მინისტრთა კაბინეტიდან ბენდუქიძის მოცილება და პროფიციტური ბიუჯეტის შემოღება. ბენდუქიძე ადგილს ინარჩუნებს, პროფიციტური ბიუჯეტი კი, როგორც გურგენიძე გვპირდება, მხოლოდ 2009 წლიდან ექნება ქვეყანას. 2008 წლის ბიუჯეტი კვლავ დეფიციტური დარჩება. ბიუჯეტის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რადგან ხელისუფლება იძულებული იქნება, ძალიან დიდი ხარჯები გაიღოს ხელფასების, პენსიების, ვაუჩერების გასაცემად, რაც ინფლაციას გაზრდის.

პრემიერმინისტრმა და მისმა “ახალმა“ გუნდმა ეკონომიკური გეგმების შესახებ არსებული სამგვერდიანი დოკუმენტის ტექნიკურ განახლებას მიმართეს, ფონტი (შრიფტი) შეცვალეს და გაადიდეს, ასევე გაზარდეს სტრიქონებს შორის ინტერვალი. დოკუმენტში, რომელიც პარლამენტში დარიგდა, ორი სხვადასხვა შრიფტია, ანუ ძველი პროგრამიდან რაღაცები ე. წ. ცოფყ-პასტე-ის მეთოდით არის ჩასმული. ასე რომ, ცხადია, ძველი პროგრამაა გადაკეთებული.

ერთი კურიოზული ფაქტი: გვერდს და მუხლს ვერ დაგისახელებთ, რადგან დოკუმენტი დანომრილი არ არის, მაგრამ მასში წერია, რომ ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას, თავისუფალი ინდუსტრიული და ეკონომიკური ზონების შექმნაა. პრემიერმინისტრს სესიაზე ვკითხე: “კანონი თავისუფალი ზონების შესახებ მიღებულია. თქვენ ცალკე ეკონომიკური ზონის შექმნას აპირებთ თუ ქართულში ტრადიციად ქცეული

ორი სათაურის პრობლემასთან გვაქვს საქმე? პასუხი: “შეცდომა გაგვეპარა და მართლა ორი სათაურის პრობლემააო.“